როცა ჭაბუა ამირეჯიბზე ვფიქრობ, ეს არ არის ფიქრი მაინცდამაინც მის ნაწერებზე, არც მხოლოდ მის პიროვნებაზე, როგორც აქტუალურად ვიცნობთ მას, ჩვენს დროში და ჩვენს ყოფაში კერძოდ არსებულს თავისი ფსიქოსომატური ვინაობით დაადნაგობით. ჩვენ მასში იმ ტიპის (რამდენადაც შესაძლებელია უნიკალურის ტიპობრივში მოქცევა) ადამიანს ვხედავთ, რომელიც თავისი მხოლოდ არსებობით, თავისი ხელით დაწერილის გარეშე, მაინც იქნებოდა იმ ეპოქალურის გამომხატველი, რაც ჩვენს თაობას (ორს მაინც) დაატყდა თავს. საერთო განსაცდელს უნდა ეპოვა მასში პიროვნული გამოხატულება. მასში ერთ განსაცდელად უნდა შენივთებულიყო საერთო და ინდივიდუალური. ეს მისი ხვედრი იყო, ბედის რჩეულობის, განსაცდელისა და გამოცდის ღირსობის ხვედრი. ხვედრი, რომ სხვათა ნაცვლად ყოფილიყო განწირული, გადაეტანა განსაცდელი, როგორც გამოცდა. და თუ გამოცდაა, ეს განცდაცაა ანუ შინაგანი გამოცდილება, რომელიც გადატანილია. და თუ ის შემოქმედების მასალად იქცევა, აქ ის შემთხვევაა, როცა საზოგადოებას უბრუნდება პიროვნულ-ინდივიდუალურად განცდილი, რათა მასში ყველამ თავ-თავისი გაუნაღდებელი ხვედრი ამოიკითხოს.

როცა ამ ჭრილში ვხედავთ მას, წარმოგვიდგება ძველი დროის, ძველ თხზულებაში შთენილი, ქმნილებად ქცეული ადამიანი, რომელმაც სამუდამოდ, მრავალი ეპოქის მიმართ, განასახიერა დაბრუნების გაუხუნარი თემა. ეს ოდისევსია, მრავალტანჯული და მრავალნაცადი, და მრავალღონე. მიწყივ "მართალს მიმგვანებული ტყუილის მთხზველი", მიწყივ ვინაობის დამფარველი, რადგან მართალს და ნამდვილს არავინ დაიჯერებდა. მისი მუდმივი ეპითეტები მოწმობს, რომ

იგი ასეთად არის ჩასახული და, პროვიდენციულად, როცა ტროას ეპოქა დგება, გამოდის დღის სინათლეზე. ეს თანდაყოლილი უნარები მას დასჭირდებოდა შემოქცევის გზაზე, სადაც იქნებ არაფერს იძენდა, მხოლოდ კუთვნილის, წინაპართა საერთო საკუთრების, მათი დოვლათისა და დავლათის მანიფესტაციას ახდენდა. მას ამირანივით თანდაყვა ვეშაპის გამოსაფატრავი მახვილი თავისუფლებაში გასასვლელად.

ერთადერთი შიში, რომელსაც შეეძლო მოეცვა იგი, ეს იყო შუა გზაზე ჩარჩენის ან სადმე, უცხო სიმყუდროვეში ჩაძირვის შიში, უფრო სწორად, შიში ამგვარი პერსპექტივის წინაშე. და ის მიისწრაფის იქით, სადაც მას თავისი სოფლის სახლებიდან ადენილი კვამლი ეგულება. ეს ეპოსის თემად იქცა, მაგრამ მანამდე ის ადამიანებმა გამოსცადეს და ცდის ის, ვინც ეპოქის რჩეულია. მაგრამ იყო ეპოქა, იმ ტროასგან განსხვავებით, როცა გზა ითაკის ხიფათიანი კვამლისკენ აღკვეთილი იყო. მაშინ ის იქცევა მარადიულ მგზავრად, წუთისოფლის მოხეტიალედ, რომელიც ვერსად ამ ქვეყნიერებაზე საბოლოოდ ვერ ჩაუშვებს ღუზას. რეალური გზა სიმბოლურ გზად იქცევა. ვინ – ვინ და მან, როგორც მგზავრმა, იცის, რას საზრისს ინახავს გზა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც თავადაა გზა თავისი გზაჯვარედინებით, უღრანებით, "თეთრი წყვდიადით" და არჩევანებით. "საწუთრო ესე გზა არს და კეთილიცა და ბოროტიცა მას შინა განვალს" (იოანე ოქროპირი). გზა – თავისუფალი ნების გამოცდის ასპარეზი. გზა, რომელიც იძლევა საკუთარ თავთან განმარტოების, გულწრფელი საუბრის, ჭეშმარიტი დიალოგის დაუფლების შანსს. ეპოქალურ დროში განვლილი მისი პირად-ინდივიდუალური გზა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. მისი გზა მიდის

ზედაპირული ისტორიის დინების საპირისპიროდ, სიმართლე კი მის ქვეშე დინებაშია და ის მიყვება მას – სიმართლეს საკუთარ თავთან, თავის ვინაობას. და მგზავრი თავის თავს უბრუნდება.